



# საკონსტიტუციო იდეები და პროცესები

ქართულ პუბლიცისტიკაში  
(1990-1995)

ბრძოლა

კონსტიტუციური

დემოკრატიისათვის

# ყოფნა-არყოფნა ბრიტანეთის კონსტიტუციისა

## ვიქტორ ყიფიანი

გაზეთი „საქართველოს პარლამენტი“ . 1995 წელი. 1 აგვისტო

მკითხველს კარგად მოეხსენება დღეს საქართველოში მიმდინარე კონსტიტუციური აღმშენებლობის პროცესის თაობაზე. ბუნებრივია, რომ ამ მეტად მიშენელოვანი საქმის წარმატებით დასრულება შეუძლებელია უცხოეთში დაგროვილი და მოქმედი სამართლებრივი გამოცდილებისა და პრაქტიკის შესწავლის გარეშე. ამ მხრივ, არსებით ხასიათს იძენს მათი გაცნობა და გაანალიზება, რაც დიდად წაადგებოდა ჩვენში ახალი სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების ჩაყრასა და განმტკიცებას. გასაკუთრებით საინტერესოა ამ ქვეყნების კონსტიტუციურ-საკანონმდებლო წყობის მიმოხილვა, რომლებიც, ამ ნიშნით თავიანთი განსაკუთრებულობის გამო, საგანგებოდ შეგვიძლია გამოვყოთ ცალკე კატეგორიად. სწორედ ხსენებული განსაკუთრებულობითა და ორიგინალურობით გამოირჩევა დიდი ბრიტანეთის სამეფო, - ქვეყანა, რომელშიც დღემდე არ შექმნილა დაწერილი სახით მისი კონსტიტუცია, ანუ იმ ფუნდამენტური კანონებისა და პრინციპების სისტემა, რომელიც ინკორპორირებული იქნებოდა ფორმალურად ქაღალდზე შედგენილ ერთიან დოკუმენტში.

საგულისხმოა, რომ დაწერილი კონსტიტუციის უქონლობა მნიშვნელოვნად იწვევს ძალაუფლების ჭარბ კონცენტრაციას ერთი ხელისუფლების - აღმასრულებლის - ფარგლებში, ხოლო საკანონმდებლო აქტების კოდიფიკაციისა და ინკორპორაციის გარეშე არსებობა კი - მათ სიმრავლეს. ამ ფონზე დიდი ბრიტანეთი აშკარა კონტრასტით გამოირჩევა იმავე სამართლებრივი ოჯახის წევრი-ქვეყნისაგან, - ამერიკის შეერთებული შტატებისგან, სადაც ძირითადი კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები ერთიან და მწყობრად ჩამოყალიბებულ ფორმალურ სისტემას ქმნიან.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ დიდი ბრიტანეთის სამეფოს დაუწერელ კონსტიტუციაზე, მხედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს ის გარემოება, რომ ნაწილი ამ კონსტიტუციისა დაწერილი სახითაც არსებობს. უპირველეს ყოვლისა, ესენია პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, რომელთა შორის 1701 წლის აქტი მორიგების შესახებ, 1911 და 1949 წლების საპარლამენტო აქტები, 1949 წლის აქტი სახალხო წარმომადენლობის შესახებ, 1972 წლის აქტი დიდი ბრიტანეთის ევროგაერთიანებაში შესვლის თაობაზე და სხვა. აქვე არ უნდა დავივიწყოთ ადრეული ხანის დოკუმენტები, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მაგნა ქარტას (1215 წელი) და უფლებათა პეტიციას (1628 წელი).

დიდი ბრიტანეთის კონსტიტუციის დაწერილ ნაწილში მოიხსენიებენ, აგრეთვე, სამეფო პრეროგატივებს, რომელთა შორის იგულისხმება ცალკეული მინისტრების და კაბინეტის წევრების მიერ ხელმოწერილი ოფიციალური დოკუმენტები.

როგორც პრეცედენტული სამართლის ქვეყანა, აქაც გადაუჭარბებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო სასამართლოს, რომლის შექმნა და განვითარება, არსებითად, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხარჯზე ხდება.

დასასრულს, ბრიტანული კონსტიტუციის დაწერილი ნაწილის კომპონენტად აღიარებულია სხვადასხვა სახის საერთაშორისო კონვენციები; აგრეთვე, გამოჩენილ სამართალმცოდნეთა ნაშრომები, რომელთა რიცხვს, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნებიან ერსკინ მეი („ხელშეკრულება პარლამენტის კანონებზე, პრივილეგიებზე, საქმის წარმოებაზე და ჩვენებებზე“) და ა.ვ. დაისი („კონსტიტუციური სამართალი“).

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთის სამართლებრივმა წესწყობილებამ მძიმე ჟამთა ნაკადის არაერთ ურთულეს გამოცდას გაუძლო, დღეს, 21-ე საუკუნის მიჯნაზე, ქვეყანაში მთელი სიმწვავით დადგა ხარისხობრივად და თვისობრივად ახალი დაწერილი კონსტიტუციის შექმნის საკითხი. უნდა ითქვას, რომ მის დადებით გადაწყვეტას დროდადრო მხარს უჭერენ, როგორც კონსერვატორები, ისე ლიბერალები. ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის, განაკუთრებით ამ ეტაპზე, ძალზე საინტერესო იქნებოდა იმ არგუმენტების ჩამოთვლა, რომლებსაც ხშირად მიმართავენ ბრიტანეთში კონსტიტუციის შექმნის მომხრენი და მოწინააღმდეგენი.

მათი აზრით, ვინც გადაუდებელ საქმედ თვლის ძირითადი კანონის შექმნას, ამის გაკეთება აუცილებელია, რადგანაც კონსტიტუცია საშუალებას მისცემდა პარლამენტის განუსაზღვრელი სუვერენიტეტის შესზღუდვას და მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევდა მის საქმიანობას. ამის გარდა, ერთიანი კონსტიტუციის შექმნა შესაძლებელს გახდიდა, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებს უკეთ გაეცნოთ თავიანთი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. დღესდღეობით კი, მიმოფანტული საკანონმდებლო აქტების სიმრავლე არ იძლევა სრულ ინფორმაციას ამ უფლებების არსებობისა და რეალიზაციის შესახებ.

დაწერილი კონსტიტუციის შექმნის მომხრეთა ძალზე სერიოზულ და წონიან არგუმენტად მივიჩნევთ დიდი ბრიტანეთის მთელი კონსტიტუციური მექანიზმის, ანუ მართვა-გამგეობის ფორმის შეცვლის აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ არგუმენტთან მიმართებაში ხსენებული საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდება მხოლოდ კონსტიტუციური სამართლის ფარგლებში, არამედ ის გაცილებით ფართო მნიშვნელობას იძენს. ახლა მეორე მხარეს დავუგდოთ ყური. კონსტიტუციის მიღება, რომლიც განსაზღვრავდა ხელისუფლებათა ურთიერთგამიჯვნას და მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში მოთავსებას, ისინი არ თვლიან პანაცეად იმდენად, რამდენადაც, მათი აზრით, ძირითადი კანონის არსებობა სახელმწიფო მოხელეებს უფრო მეტად ხელს უზიდავდა მისი დარღვევისაკენ. ვფიქრობთ, ეს არგუმენტები ვერ გამოირჩევა მტკიცე საფუძვლიანობით და მას ძნელია დაეთანხმო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ საერთოდ სამართლებრივი ნორმის უარყოფამდეც კი შეგვიძლია მივიდეთ. მოწინააღმდეგეთა მორიგი კონტრარგუმენტი გამოიხატება იმაში, რომ კონსტიტუციის შექმნით გამოწვეული დებატები ყურადღების მიღმა დატოვებენ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ამ მიდგომას ყველაზე მოქნილად გამოხატავს ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწის რიჩარდ ჰოლმსის სიტყვები: „ჯერ რეფორმა, ხოლო - შემდეგ კოდიფიკაცია“.

ბოლოს, მოწინააღმდეგეთა ბანაკის სხვა მრავალრიცხოვან მოსაზრებათა შორის კიდევ ერთზე შევაჩერებთ ყურადღებას. კერძოდ, მათი მტკიცებით, დაწერილი კონსტიტუცია დაუკარგავს ბრიტანეთის კონსტიტუციურ მექანიზმს მისთვის ჩვეულ მოქნილობას და სწრაფად ცვალებად მოვლენებთან იოლი მისადაგების უნარს. მოკლედ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მრავალ დასავლურ დემოკრატიაში დაწერილი სახით არსებულმა ძირითადმა კანონმა არათუ დაკარგა მათი ასეთი მოქნილობა, არამედ უფრო განამტკიცა იგი. ყოველივე ამას კი, ძირითადად ქვეყნის პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურა განაპირობებს.

დიდი ბრიტანეთის კონსტიტუციონალიზმის სადღეისო მდგომარეობისა და მისი სახვალყო ორიენტირების თუნდაც მხოლოდ ზოგადი მიმოხილვა კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ჩვენ ახალი კონსტიტუციის მიღების ჭეშმარიტ ისტორიულ მნიშვნელობაზე. გვახსოვდეს: ძირითადი კანონის შექმნა განპირობებულია არა მხოლოდ არსებული ისტორიული რეალიებით, არამედ მომავლის წინაშე ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებებითაც.